პ რ ო ე ქ ტ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2024 წლის --- ივლისი

ქ. წყალტუბო

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბო არენა"-ს წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-4824206114; 24/07/2024) წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბო არენა"-ს წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების თაობაზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილებით დამტკიცებული წესდების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ.ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბო არენა"-ს წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების თაობაზე (დანართი თან ერთვის).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა

მეორადი სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელი მ. ბერაძე

შეთანხმებულია

აპარატის უფროსი გ. თათარაშვილი

კომისიის თავმჯდომარე მ. ჭელიძე

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-4824206114**
თარიღი: **24/07/2024**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ.N27

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ ,

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,წყალტუბო არენა“ 2024 წლის 14 ივლისის №56 წერილით ითხოვს ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბო არენა“-ს (ს/კ 421268014) წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 12 დეკემბრის N№48.482334623 ბრძანებაში ცვლილების შეტანას, რაც განპირობებულია ახალი სპორტული მოედნის მონაცემების ასახვით წესდებაში.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ“ პუნქტის ,,დ.ბ.“ ქვეპუნქტის და ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ.ბ.“ ქვეპუნქტის თანახმად, გთხოვთ, თანხმობას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბო არენა“ წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების თაობაზე.

დანართი ,,7“ ფურცლად.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „წყალტუბო არენა“-ს

წ ე ს დ ე ბ ა

მუხლი 1.ზოგადი დებულებები

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „წყალტუბო არენა“ (შემდგომში „წყალტუბო არენა“) არის კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და საქართველოს ორგანული კანონის “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად და მისი მიზანია წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და მისი პროპაგანდა, ქართული ფეხბურთის პოპულარიზაცია და საფეხბურთო ტრადიციების აღდგენა-განვითარება.

2. „წყალტუბო არენა“ წარმოშობილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

3. „წყალტუბო არენას“ სახელწოდება: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „წყალტუბო არენა“

4. „წყალტუბო არენას“ სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

5. „წყალტუბო არენას“ იურიდიული მისამართი: ქალაქი წყალტუბო, 26 მაისის ქუჩა N2.

6. „წყალტუბო არენას“ ელექტრონული ფოსტის მისამართი: tskaltuboarena@gmail.com

7. „წყალტუბო არენა“ ხელმძღვანელობს საქართველოს ორგანული კანონით “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, ,,საქართველოს სამოქალაქო კოდექსის”, ,,შრომის კოდექსის“, ამ წესდების და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. „წყალტუბო არენას“ აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, მრგვალი ბეჭედი, საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

9. „წყალტუბო არენა“ თავისი წევრის (წევრების), აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მდგომარეობისაგან

დამოუკიდებელია. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მისი ქონებით. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ვალდებულებებისათვის მისი წევრები, აგრეთვე მისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) პასუხს არ აგებენ. ასევე არ აგებს პასუხს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საკუთარი წევრების, აგრეთვე თავისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) ვალდებულებებისათვის.

10. „წყალტუბო არენა“ უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია.

11. „წყალტუბო არენა“ -ს საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს.

მუხლი 2. „წყალტუბო არენას“ საქმიანობის მიზნები და ამოცანები

„წყალტუბო არენას“ საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და მიზნებია:

1. ქალაქ წყალტუბოში, 26 მაისის ქუჩაზე მდებარე საფეხბურთო მოედნების (ცენტრალური, სათადარიგო ხელოვნურსაფარიანი, მინი ბუნებრივსაფარიანი) ინფრასტრუქტურის მოწყობა, მოვლა–პატრონობა.

2. ქალაქ წყალტუბოში აღმაშენებლის ქუჩის მიმდებარედ საფეხბურთო ცენტრის ჰიბრიდული საფეხბურთო მოედნის ინფრასტრუქტურის მოწყობა, მოვლა-პატრონობა.

3. ქალაქ წყალტუბოში, 26 მაისის ქუჩაზე მდებარე საფეხბურთო მოედნებზე (ცენტრალური, სათადარიგო ხელოვნურსაფარიანი, მინი ბუნებრივსაფარიანი) და ქალაქ წყალტუბოში აღმაშენებლის ქუჩის მიმდებარედ საფეხბურთო ცენტრის ჰიბრიდული საფეხბურთო მოედანზე შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალის“ ძირითადი გუნდის, დუბლების შემადგენლობისა და სხვადასხვა

ასაკობრივი გუნდებისათვის ეროვნული ჩემპიონატების შესაბამის ლიგაში ჩემპიონატის თამაშებისა და ვარჯიშების ჩატარების შეუზღუდავად უზრუნველყოფა.

4. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და მისი პროპაგანდა, ქართული ფეხბურთის პოპულარიზაცია და საფეხბურთო ტრადიციების აღდგენა-განვითარება.

5. სპორტული ღონისძიებებისა და სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებისა და ჩემპიონატებისათვის სტადიონისა და ინფრასტრუქტურის მომზადება.

6. სპორტის საყოველთაობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მუხლი 3. „წყალტუბო არენას“ დამფუძნებელი

„წყალტუბო არენას“ დამფუძნებელია წყალტუბოს მუნიციპალიტეტი.

მუხლი 4. „წყალტუბო არენას“ მართვა და ხელმძღვანელობა

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი ბრძანებით ამტკიცებს „წყალტუბო არენას“ წესდებას, საშტატო ნუსხას, სახელფასო განაკვეთს, ხარჯთაღრიცხვას და ახორციელებს მასში ცვლილების შეტანას.

2. „წყალტუბო არენას“ ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი.

3. „წყალტუბო არენას“ დირექტორი:

ა) წარმართავს და ორგანიზებას უწევს „წყალტუბო არენას“ საერთო საქმიანობას, პასუხისმგებელია ამ საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტურობაზე.

ბ) თანამდებობაზე ნიშნავს და ანთავისუფლებს „წყალტუბო არენას“ თანამშრომლებს.

გ) კანონით დადგენილი წესით განაგებს „წყალტუბო არენას“ ქონებას და სახსრებს, მასვე ეკისრება პასუხისმგებლობა სამსახურის საკუთრებაში არსებული ქონების მოვლა-პატრონობაზე და ფულადი სახსრების მიზნობრივად და სწორად ხარჯვაზე.

დ) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის თანხმობით უფლებამოსილია შეიძინოს და გაასხვისოს „წყალტუბო არენას“ ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ძირითადი ქონება;

ე) მინდობილობის გარეშე წარმოადგენს „წყალტუბო არენას“ ყველა ინსტანციაში და დებს ხელშეკრულებებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან;

ვ) იღებს გადაწყვეტილებას „წყალტუბო არენას“ თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ შინაგანაწესით დადგენილი წესის შესაბამისად.

ზ) შეიმუშავებს და ამტკიცებს „წყალტუბო არენას“ შინაგანაწესს.

თ) მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს გაწეული სამუშაოს შესახებ.

ი) უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც მოქმედებს „წყალტუბო არენას“ ფარგლებში.

კ) წესდებით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

4.4. დირექტორი ანგარიშვალდებულია მუნიციპალიტეტის მერის წინაშე.

4.5. დირექტორის ვალდებულია მისი არყოფნის პერიოდში აცნობოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის შესახებ.

მუხლი 5. „წყალტუბო არენას“ ქონება, დაფინანსება და ანგარიშსწორება

1. დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად „წყალტუბო არენას“ გადაეცემა შესაბამისი ქონება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. „წყალტუბო არენას“ დაფინანსების წყაროებია:

ა) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები

ბ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სახსრები კანონმდებლობის შესაბამისად ხმარდება მხოლოდ „წყალტუბო არენას“ მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას და მათი სხვა მიზნით გამოყენება დაუშვებელია.

4. „წყალტუბო არენა“ ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება.

მუხლი 6. „წყალტუბო არენას“ საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას

„წყალტუბო არენას“ შეუძლია, მხოლოდ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის და საჭიროების შემთხვევაში სხვა შესაბამისი ორგანოების თანხმობით, განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

ა) უძრავი ქონების შეძენა-დატვირთვა

ბ) სესხის აღება.

გ) თავდებობა.

დ) საშტატო განრიგისა და ხელფასის ფონდის განსაზღვრა;

ე) სხვა გადაწყვეტილებები „წყალტუბო არენას“ ქონებასთან დაკავშირებით, რომლებიც სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

მუხლი 7. „წყალტუბო არენა“-ს საქმიანობის კონტროლი

1. „წყალტუბო არენა“ -ს საქმიანობა ექვემდებარება კანონმდებლობით დადგენილ კონტროლს.

2. „წყალტუბო არენა“ -ს საქმიანობის კონტროლი გულისხმობს, „წყალტუბო არენა“-ს მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.

3. მუნიციპალიტეტის მერია უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი „წყალტუბო არენა“-ს საქმიანობაზე, კონტროლის განხორციელების მიზნით საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს შესაბამის მასალები და ინფორმაცია.

მუხლი 8. წესდებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესი

„წყალტუბო არენას“ წესდებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესდება ძალაში შედის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მიერ წესდების დამტკიცების შესახებ მერის ბრძანების ამოქმედებიდან;

2. თუ ამ წესდების (დამფუძნებლის შეთანხმების) რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე;

3. ამ წესდებისა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი

არასამეწარმეო(არაკომერციული) იურდიული პირი

,, წყალტუბო არენა''

კოდი 421268014 5400ქ. წყალტუბო ,26 მაისის ქ№ 2

№ 56 24 ივლისი 2024 წელი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ გენადი ბალანჩივაძეს

ბატონო გენადი.

გაცნობებთ, რომ ა(ა) იპ „წყალტუბო არენას“ 2023 წლის 11 დეკემბერს უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით მოვლა-პატრონობისა და შენახვის მიზნით სარგებლობაში გადმოეცა ქალაქ წყალტუბოში აღმაშენებლის ქუჩის მიმდებარედ # 29.08.36.092 საკადასტრო კოდზე მდებარე უძრავი ქონება (საფეხბურთო ცენტრი) მასზე განთავსებული ინვენტარით - სპორტული მოედანი, ადმინისტრაციული შენობა და სპორტული აღჭურვილობით.

გთხოვთ შეიტანოთ ცვლილება წყალტუბოს მუნიციპა;ლიტეტის მერის 2023 წლის 12 დეკემბრის # ბ48. 482334623 ბრძანებით დამტკიცებულ ა(ა)იპ „წყალტუბო არენას“ წესდებაში და წესდების მე-2 მუხლის 1 და 2 ნაწილი ჩამოაყალიბოთ შემდეგი სახით:

2.1.1. ქალაქ წყალტუბოში 26 მაისის ქუჩაზე მდებარე საფეხბურთო მოედნების (ცენტრალური, სათადარიგო ხელოვნურსაფარიანი, მინი ბუნებრივსაფარიანი) ინფრასტრუქტურის მოწყობა, მოვლა-პატრონობა.

2.1.2. ქალაქ წყალტუბოში აღმაშენებლის ქუჩის მიმდებარედ საფეხბურთო ცენტრის ჰიბრიდული საფეხბურთო მოედნის ინფრასტრუქტურის მოწყობა, მოვლა-პატრონობა.

2.2. ქალაქ წყალტუბოში 26 მაისის ქუჩაზე მდებარე საფეხბურთო მოედნებზე (ცენტრალური, სათადარიგო ხელოვნურსაფარიანი, მინი ბუნებრივსაფარიანი) და

ქალაქ წყალტუბოში აღმაშენებლის ქუჩის მიმდებარედ საფეხბურთო ცენტრის ჰიბრიდული საფეხბურთო მოედნზე შპს საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალის ძირითადი გუნდის, დუბლების შემადგენლობისა და სხვადასხვა ასაკობრივი გუნდებისათვის ეროვნული ჩემპიომატებოს შესაბამის ლიგაში ჩემპიონატის თამაშებისა და ვარჯიშების ჩატარების შეუზღუდავად უზრუნველყოფა

პატივისცემით ა(ა) იპ ,,წყალტუბო არენას“

დირექტორი: ა. ვარდანიძე